საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №85/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 14 აგვისტოს №85 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 24 სექტემბრის №85/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ დასაბუთებული გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 10 დღის შემდეგაც არ გადასცა.

ამასთან, სარეზოლუციო ნაწილი მოსამართლეს უნდა გამოეცხადებინა 2020 წლის 21 ივლისს 17:00 საათზე, თუმცა სხდომამდე ნახევარი საათით ადრე მას დაუკავშირდა სხდომის მდივანი და უთხრა, რომ სხდომა გადაიდო 30 წუთით. სხდომათა დარბაზში გამოცხადების შემდეგ სხდომის მდივანმა მხარეს უთხრა, რომ სარეზოლუციო ნაწილი უკვე გამოაცხადა მოსამართლემ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1 2018 წლის 8 ივნისს -- -- ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხე -- -- მერიის და -- -- მერიის -- სამსახურის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 12 ივნისის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად; ადმინისტრაციულ საქმეში, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მესამე პირად ჩაებნენ - -- -- და -- --.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციულ საქმეზე დაინიშნა საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში; შეჩერდა საქმის წარმოება ექსპერტიზის დასკვნის წარდგენამდე.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2019 წლის 25 ივნისის განჩინებით განახლდა საქმის წარმოება.

საქმეზე სასამართლოს სხდომები გაიმართა 2019 წლის 14 ნოემბერს 16:03 საათზე და 2020 წლის 7 ივლისს 13:50 საათზე.

სასამართლოს სხდომაზე გამოძახების თაობაზე 2020 წლის 7 ივლისის სხდომის დასრულების შემდეგ სხდომის მდივნის მიერ შედგა აქტი, რომლის თანახმადაც საქმეზე სხდომა დაინიშნა 2020 წლის 21 ივლისს 17:00 საათზე. უწყებას (ხელწერილს) ხელს აწერდა ყველა მხარე.

2020 წლის 21 ივლისს 17:00 საათზე დანიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი მხარე, შესაბამისად, სხდომა დაინიშნა 30 ივლისს 17:00 საათზე. სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, სასამართლოში დაბარების მიზნით, იგი მხარეებს ესაუბრა 2020 წლის 21 ივლისს და აცნობა მათ, რომ სხდომა დანიშნული იყო 30 ივლისს 17:00 საათზე.

-- -- სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმის თანახმად, სხდომა დაიწყო 17:07:52 საათზე. სხდომაზე არ გამოცხადდა არცერთი მხარე. მოსამართლემ სასამართლოს სხდომაზე გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ 2020 წლის 13 აგვისტოს და ჩაბარდათ 7 სექტემბერს.

2.2. -- -- სასამართლოდან წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2019 წელს განსახილველად ჰქონდა სისხლის სამართლის 52 საქმე, საიდანაც განიხილა 33 (63.4%). ასევე, განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციული სამართლის 110 საქმე, საიდანაც განიხილა 59 (53.6%); განსახილველად გადაეცა და განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 99 საქმე (100%); ამასთან, განსახილველად ჰქონდა სამოქალაქო სამართლი - 761 საქმე, საიდანაც განიხილა - 304 (39.9%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 24 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 14 აგვისტოს №85 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

უნდა აღნიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი ასევე ადგენს დისციპლინური გადაცდომის არსებობისათვის სავალდებულო სხვა კუმულატიურ-აბსტრაქტულ წინაპირობებს და მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ზოგად გარემოებებს. ამდენად, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დასადასტურებლად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამის ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული წინაპირობების მიღმა, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სხვა სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებები.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Golder c. Royaume-Uni, 21 février 1975, §§ 28-36, série A no 18).

სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby *v. Greece*, §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, §33; Martinie v. France [GC], §39).

საქმეზე – ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ (Hornsby v. Greece) – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლოზე უფლება“ ილუზიური იქნებოდა, თუკი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემა კანონიერ ძალაში შესული, სავალდებულო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას დაუშვებდა რომელიმე მხარის საზიანოდ. ალოგიკური იქნებოდა, მე-6 მუხლს დეტალურად გაეთვალისწინებინა მოდავე მხარეებისათვის მინიჭებული პროცედურული გარანტიები ისე, რომ არ დაეცვა სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება. მე-6 მუხლის იმდაგვარი განმარტება, რომ იგი მხოლოდ სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და სამართალწარმოების ჩატარებას ეხება, სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელ შემთხვევებამდე მიგვიყვანდა, რომლის პრინციპების პატივისცემის ვალდებულებაც სახელმწიფოებმა კონვენციის რატიფიკაციისას იკისრეს. ამიტომაც ნებისმიერი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება მე-6 მუხლის მიზნებისათვის „სასამართლო განხილვის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს.[2]

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, სასამართლოს პროცესის სრულყოფილად და კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისი პროცედურებით წარმართვის ან/და ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული სამართლიანი

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

[2] კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბადოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, გვ. 131

სასამართლოს უფლებით, სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს.[3]

მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია მხარეს ჩაბარდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება, რათა დაიცვას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.[4]

გასაჩივრების უფლებაზე მსჯელობის დროს მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ისე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებზე, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უგზავნის იმ გადაწყვეტილების, განჩინების ან ბრძანების ასლს, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას იმავე ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. სხვა სასამართლო აქტების ასლები მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს გადაეცემათ მათი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. წარმომადგენლისათვის გაგზავნილი დოკუმენტი ჩაითვლება მხარისათვის გაგზავნილად, ხოლო მხარისათვის გაგზავნილი – წარმომადგენლისათვის გაგზავნილად.

განსახილველ შემთხვევაში საკითხი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად მომზადებას.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება გამოიტანა 2020 წლის 30 ივლისს, რომელიც მხარეებს გაეგზავნათ 2020 წლის 13 აგვისტოს - დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გაგზავნისათვის კანონით დადგენილი ვადაში, ხოლო ჩაბარდათ დადგენილი ვადის გასვლიდან 25 დღეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების/განჩინების ჩაბარების მომენტიდან. შესაბამისად, მხარეს არ შეზღუდვია სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლება. მოცემულ საქმესთან მიმართებით სახეზე არ არის კანონით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნის სასამართლო გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების ვადის დარღვევა.

რაც შეეხება სხდომის დაგვიანებით დაწყებას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სხდომა დანიშნული იყო 2020 წლის 21 ივლისს 17:00 საათზე, თუმცა სასამართლო სხდომის ოქმის

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილება ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-7

[4] იქვე II-8

თანახმად, 21 ივლისს დანიშნულ სხდომაზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გამოცხადდა, რადგან სხდომას არცერთი მხარე არ ესწრებოდა. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გადაიდო 30 ივლისს 17:00 საათზე. აღნიშნულის თაობაზე მხარეებს ეცნობათ კანონით დადგენილი წესით. სატელეფონო აქტის თანახმად, 2020 წლის 21 ივლისს 16:09, 16:11, 16:12 საათზე სასამართლოს სხდომის მდივანი ტელეფონით დაუკავშირდა მხარეებს და აცნობა სხდომის დაწყების დროის ცვლილების თაობაზე. სატელეფონო შეტყობინების აქტის თანახმად, სხდომა დაინიშნა 30 ივლისს 17:00 საათზე.

დადგენილია, რომ სხდომა დაიწყო 17:07 საათზე. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას არ ესწრებოდა არცერთი მხარე. სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება პროცესის ის ეტაპია, როდესაც შეჯიბრებითი პროცესი უკვე დასრულებულია და მოსამართლე აცხადებს მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ ნაწილში მნიშვნელოვანია, რომ სხდომის საჯაროობის პრინციპი არ დარღვეულა მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ პროცესის მხარეები არ ესწრებოდნენ სხდომას, სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა ღია სხდომაზე, ხოლო თავად დავის მონაწილე მხარეებს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდათ კანონით დადგენილ ვადაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ სხდომის მდივანმა არასწორად მიაწოდა მხარეებს ინფორმაცია სხდომის დაწყების დროის თაობაზე, სხდომის მდივანი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათმა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №85/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი